

და
ქვეყნი

აღმა, დინების
წინააღმდეგ

ავტობიოგრაფიული რომანი



სულაკაურის
ანთროპოლოგია

შინაარსი

თავი I	გამომშვიდობება.....	5
თავი II	ანდრო, ძნელად გამოსათქმელი გვარით.....	14
თავი III	ორი დედამთილი.....	24
თავი IV	პირველად კავკასიაში.....	30
თავი V	გეზი მოსკოვისკენ.....	34
თავი VI	ახალ ბინაში.....	48
თავი VII	მოულოდნელი ცვლილებები.....	66
თავი VIII	ნოემბერი, რომელმაც ბედნიერ ცხოვრებას წერტილი დაუსვა.....	87
თავი IX	სახაზინო ჰური.....	112
თავი X	მორღოვეთისა და ტემნიაკოვის ბანაკებში.....	139
თავი XI	მდინარე პეჩორით ყინულოვანი ოკეანისკენ.....	167
თავი XII	ახალი ბანაკი - „ახალი ნაძენარი“.....	194
თავი XIII	თითქმის მოულოდნელად.....	211
თავი XIV	მაშ, თქვენ ფინელი ყოფილხართ!.....	246
თავი XV	კოჩმასი.....	261
თავი XVI	1945 – სიხარულისა და იმედგაცრუების წელი.....	284
თავი XVII	გეზი ვორკუტისკენ.....	301
თავი XVIII	არჩევნის შესაძლებლობა.....	317
თავი XIX	საზოგადოებაში დაბრუნება.....	329
	ავტორის მოკლე ბიოგრაფია.....	343
	ფოტოები.....	345

გამომშვიდობება

ნოემბრის ერთ წვიმიან დილას, კვირის დასაწყისში, ორმა ტყავის-პალტოიანმა მამაკაცმა ეზო გადაჭრა და სახლში შევიდა. იქ მათ მხოლოდ ქალები დახვდნენ – მილი და მისი დედამთილი, სერაფიმა პეტროვნა. წინა საღამოს დიმიტრი ქალაქიდან არ დაბრუნებულა – სავარაუდოდ, გადაუდებელი საქმეების გამო ღამის გათევა მოუხდა ხარკოვის სადგურზე, თავის სალონ-ვაგონში, რომელიც დროდადრო სახლის მაგივრობას უწევდა. იმ ვაგონში მილიც არაერთხელ დარჩენილა, უმეტესად, მაშინ, როცა თეატრში სპექტაკლი გვიან მთავრდებოდა, ანდა მეგობრებთან სტუმრობა გაუგრძელდებოდა. მილის სულ უკვირდა, რევოლუციის მერე როგორ რჩებოდა ის ვაგონი ამ აოხრებულ ქალაქში ხელუხლებელი – თავისი სუფთა ხალიჩებით, კრიალა სარკეებითა და ტყავგადაკრული ავეჯით.

ახლა კი, როცა დიმიტრი სახლში არ იყო, თავზე წამომდგარი კაცების თავხედურ საქციელში სანუგეშოს ვერაფერს შენიშნავდით. ისინი დაუკითხავად შევიდნენ სასტუმრო ოთახში და სანამ მაგიდასთან დასხდებოდნენ, იქაურობას თვალი უსიტყვოდ მოავლეს. დიასახლისის კითხვებს კაცები არ პასუხობდნენ.

ერთ-ერთმა მათგანმა თავისი დიდი პორტფელიდან რაღაც ქალაქ-ლდი ამოიღო და მილის გაუნოდა, მაგრამ ქალმა უკრაინული ტექსტის შინაარსი ვერ გაიგო. კაცებმა, სანამ საქმეს შეუდგებოდნენ, საშინლად მხრჩოლავი პაპიროსები გააბოლეს და უხმოდ მოსწიეს. საუჭნაოდან დაიწყეს. იქიდან საშაქრე გამოიღეს და მაგიდაზე გადმოაპირქვავეს, მერე მაგიდისა და სკამების ფეხებზე აკაკუნებდნენ, თითქოს შიგნით დამალულ რაღაცას ეძებდნენ. ამ ყველაფერს თანმიმდევრულად,

უსიტყვოდ აკეთებდნენ. გაოგნებული დიასახლისების პროტესტის მიუხედავად, კაცებმა კედლებიდან ნახატები და ფოტოსურათები ჩამოსწესეს და ჩარჩოებიდან ამოიღეს. სერაფიმა პეტროვნას ოთახში ყველაფერი თავდაყირა დააყენეს; ლეიბები და ბალიშები იატაკზე დაყარეს და საგულდაგულოდ შეამოწმეს. მოხუცი ქალბატონი მოთქვამდა, სხვის სახლში ქექვის ნება ვინ მოგცათო?!

კაცებს ამგვარი კითხვები აშკარად აღიზიანებდათ, მაგრამ თავიანთ საქმეს მაინც აგრძელებდნენ. ძველ ჩინურ ზარდახშაში ჩაიხედეს, ფოტოსურათები ცალკე დააწყვეს და ქალებს გვერდზე გადალაგებული ნივთებთან მიკარება აუკრძალეს. მერე სერაფიმას საყვარელი ნოტები გადმოიღეს, ასევე – სხვადასხვა გაზეთებიდან ამონაჭრები, რომლებსაც მოხუცი ქალი, უკვე რამდენიმე ათეული წელია, ინახავდა, რათა ოდესმე ამ ტექსტებსა და სურათებს წარსულ კულტურაზე მისთვის ხელახლა მოეთხრო.

საბედნიეროდ, ჩინურ ზარდახშაში ერთი პატარა განყოფილება, რომელშიც სამკაულები ინახებოდა, მათაც კი გამოეპარათ. მილიმ გულში ჩხვლეტა იგრძნო, როდესაც კაცებმა ტუალეტის მაგიდის უჯრაში ფოტოსურათებისა და წერილების იმ დასტას მიაგნეს, რომელიც მას ფინელ ნათესავებთან მიმონერის შედეგად შემორჩენოდა.

სერაფიმა პეტროვნა ამ არამზადებს წამდაუნუმ ეკითხებოდა, სად იყო მისი ვაჟი, მაგრამ ქალს გაუგებარი „ზმუილით“ პასუხობდნენ. რძალს კი ქალაღდის ნაგლეჯი შეაჩერეს ხელში – იგი ხარკოვში, რომელიც ქუჩაზე, ამა და ამ საათზე დაკითხვაზე უნდა გამოცხადებულიყო. კაცებმა ნადავლის ნაწილით თავიანთი პორტფელები გაავსეს; ფინურ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე გამოცემული წიგნები თოკებით შეკრეს, გადასკვნეს და ისინიც თან წაიღეს – ალბათ როგორც მნიშვნელოვანი მტკიცებულება.

დედამთილი და რძალი არეული ბინის შუაგულში უსიტყვოდ ისხდნენ. მილის მოეჩვენა, რომ რაღაც იდუმალმა ძალამ დაანგრია მთელი მისი ცხოვრება, რომელიც დიდი ძალისხმევით, აგურ-აგურ ააშენა. მეხსიერებაში კვლავ ამოუტივტივდა სიტყვები, რომლებიც ფინელმა დეიდაშვილმა მილის ზურგს უკნიდან მიაძახა: „წყეულიმც იყავ მთელი შენი ცხოვრება!“ ეს ერთგვარი განაჩენი იყო, რომელიც ნათესაობამ

თვრამეტი წლის მილის მაშინ გამოუტანა, როცა ახალგაზრდა გოგონა რუს კაცზე გათხოვდა. ახლობლებმა მას ზურგი აქციეს, მიუხედავად იმისა, რომ მილის საქმრო ფინეთში ჯერ კიდევ რევოლუციამდე მუშაობდა, რუსულ-ფინურ სარკინიგზო კომპანიაში მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა, ლამაზი, წარმოსადეგი, განათლებული კაცი იყო; მას მილის მშობლიურ, ჩრდილოეთ ფინეთის ქალაქ ოულუში გრაფს ეძახდნენ. ცხოვრება რომ აირია, ახალდაქორწინებული დიმიტრი საფრანგეთში გაემგზავრა, რათა ოჯახისთვის ვიზა მოეთხოვა. თუმცა, ვინაიდან ვიზა მხოლოდ მას მისცეს, დიმიტრი შვედეთისა და ნორვეგიის გავლით ჩავიდა სამშობლოში, მურმანსკოში, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ ანტანტის კავშირს ექვემდებარებოდა; სურდა, იქაურ საკონსულოში სავიზო პროცედურები განეახლებინა. სერაფიმა პეტროვნა შვილს ეხვეწებოდა, რომ ფინეთს აღარ გასცდენოდა და საქმე იქვე მოეგვარებინა, მაგრამ დიმიტრიმ თავისი არ დაიშალა, სამშობლოში დედისა და მეუღლის ერთად წაყვანა მოინდომა, რუსეთში დაბრუნდა და ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდა. მილის თვალწინ წარმოუდგა ის ეპიზოდი, როცა ბაქანზე დარჩენილ, გასაცვილებლად მოსულ ნათესავენს მატარებლიდან ხელს უქნევდა; მიემგზავრებოდა, რათა ქმართან და დედამთილთან ერთად რუსეთში დაედო ბინა.

სულ რამდენიმე თვე იცხოვრეს ბოლშევიკებისგან თავისუფალ მურმანსკოში – მანამდე, სანამ ქალაქი საბჭოთა კავშირის ტერიტორიად გამოცხადდებოდა. დიმიტრის მცდელობა, თავისი ოჯახი (რომელსაც ამასობაში ქალიშვილი შეემატა) ნორვეგიული გემით მურმანსკიდან გაეპარებინა, მარცხით დამთავრდა. იგი დააპატიმრეს, მილი კი დედამთილთან და ჩვილ ბავშვთან ერთად უპატრონოდ დარჩა, ყოველგვარი მატერიალური სახსრის, ნაცნობ-მეგობრისა და ენის ცოდნის გარეშე.

დიმიტრი ერთ წელიწადში გაათავისუფლეს. ამ ხნის განმავლობაში მილიმ ბევრი რამ გადაიტანა: შიმშილით სული რომ არ ამოხდომოდათ, რძალი და დედამთილი თავიანთ მცირე ქონებას ყიდდნენ. სახლის გათბობაზე ფიქრსაც კი ვერ ბედავდნენ, ბავშვის საფენებს კი მილი ტანზე იხვევდა და ისე აშრობდა. დიმიტრისგან არანაირი ცნობა არ მოდიოდა. თუმცა, ზოგჯერ მათ ბედი გაუღიმებდა და ვილაცა

ცოტაოდენ შეშას მიუტანდა (რასაკვირველია, უპრიანი გასამრჯელოს ფასად), რომელსაც მილი ეზოში თავადვე ჩეხავდა; თანაც, ისე „მოხერხებულად“, რომ ერთხელ ორი მეზღვაური, რომლებმაც მათი სახლის წინ ჩაიარეს, ლობესთან შეჩერდნენ, რათა სანახაობით დამტკბარიყვნენ. „კნეინას“ სიცილით შესთავაზეს დახმარება, რაზეც მილი სიამოვნებით დათანხმდა და თავისი სამუშაო იარაღი მეზღვაურებს მიანდო.

რასაკვირველია, სურსათის შოვნა ჭირდა, თუმცა სახელმწიფომ მილის ტალონები გამოუყო; მას, როგორც დედას, ორ დღეში ერთხელ ნახევარი ლიტრი რძე ერგებოდა. ერთ დილასაც რძის განაწილების ზედამხედველმა, ტყავისლაბადიანმა, კეპიანმა კომისარმა ქალმა, მილის რალაც გაუგებარი ფრაზა უთხრა – მას პირში პაპიროსი გაეჩარა და სიტყვები გაუგებრად გამოთქვა, მილის კი რუსული ენა ჯერ კიდევ კარგად არ ესმოდა. ამიტომ მხოლოდ ალლოთი მიხვდა, რომ რძის მიცემაზე უარს ეუბნებოდნენ. მილი შეეცადა, კომისრისა და მის გვერდით მჯდომი მეორე დედაკაცისთვის დამტკვრეული რუსულით აეხსნა, რომ მისი ტალონები სრულ წესრიგში იყო, მაგრამ ქალებმა მილი ენის არცოდნის გამო მასხარად აიგდეს. რალას გაანყობდა, მიბრუნდა და სახლისკენ წასვლა დააპირა. თუმცა, როცა გააცნობიერა, რომ უკან რძის გარეშე ბრუნდებოდა, ტყავისლაბადიანი ქალისკენ მიტრიალდა და უეცრად, ისე რომ თავადაც არ მოელოდა, ცარიელი რძის ჭურჭელი მას თავში ესროლა. ბოთლი კომისარს ოდნავ ასცდა და კედელზე დაიმსხვრა, მილი კი შემობრუნდა და თავს სირბილით უშველა. ბედად, უკან არავინ დასდევნებია.

მილის მეხსიერებას მწარედ შემორჩა მისი ღირსებისთვის შეუფერებელი კიდევ არაერთი ეპიზოდი. თუმცა, საბედნიეროდ, ამასობაში დიმიტრი გაათავისუფლეს და, რადგან ის ენერგიული, მონდომებული კაცი იყო, ოჯახის ცხოვრება თანდათანობით ჩვეულ კალაპოტში ჩადგა.

ისინი უკრაინაში დასახლდნენ, დიმიტრი დასაქმდა; მას კარგი ანაზღაურება ჰქონდა და მალე ხარკოვის მახლობლად, ეგრეთ წოდებულ სამხრეთის დასახლებაში სახლიც შეიძინეს... თუმცა, ორი წლის თავზე დიმიტრი ისევ დააპატიმრეს. ამჯერად, ციხეში „სულ რამდენიმე“

თვით გამოკეტეს. მერე კი მესამე, საბედისწერო პატიმრობის დროც დადგა. ეტყობა, დიმიტრის საქმის წამდაუნუმ გადახედვით დაკავებულ მოხელეებს ველარ გადაენწყვიტათ, რამდენად სერიოზულ დანაშაულად მიეჩნიათ, რომ იგი შვეიცარიასა და ბელგიაში სწავლობდა და ამ ქვეყნებში რამდენიმე წელი გაატარა; ანდა, უცხოელი მეგობრების მიერ დიმიტრისთვის გამოგზავნილი წერილები ახალშექმნილი სახელმწიფოსთვის რამდენად მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა.

მილის და მის დედამთილს უკვე ცრემლები გაშრობოდათ, როცა მათ სახლში „ენ-კა-ვე-დე“-ს¹ კაცებმა მორიგი ჩხრეკა გააჩაღეს. პატარა ინა ამ „ბიძიების“ გამოჩენისას სასერიზოდ გაუშვეს, მაგრამ, როცა ბავშვი სახლში დაბრუნდა და ბინა აყრილ-დაყრილი დახვდა, შეშინდა და ატირდა.

– რა, აქ ჩხრეკა იყო? – იკითხა პატარა ინამ. დედამისს გაუკვირდა, საიდან იცოდა ბავშვმა სიტყვა, რომელსაც მის გასაგონად არავინ ამბობდა.

– მებობელმა მითხრა, სახლში ჯერ ნუ მიხვალ, ჩხრეკა არ დამთავრებულაო, – აუხსნა უფროსებს.

მეორე დილას ფერდაკარგული და აკანკალებული ახალგაზრდა ქალი იმ დანესებულებაში გამოცხადდა, რომელშიც იგი წინა დღეს დაიბარეს. ვეებერთელა მაგიდასთან მჯდომმა სამხედროფორმიანმა კაცმა მილის სკამისკენ მიუთითა, თვითონ კი წინ დახვავებული ქალადების კითხვა და ჩანაწერების კეთება გააგრძელა. მილის ვერ გაეგო, ის განგებ ალოდინებდა თუ მართლაც ძალიან მოუცლელი იყო, მის წერებზე თამაშობდა თუ დასამშვიდებლად დროს აძლევდა. ბოლოს კაცმა ყველა ქალადი გვერდზე გადადო და მის წინ მჯდომ, ბაჭიასავით აკანკალებულ ქალს თავაზიანი ღიმილით ჰკითხა:

– რამ შეგანუხათ?

მილი დაიბნა. ის ხომ ამ კაცთან თავისი სურვილით არ გამოცხადებულა; იქ მივიდა, სადაც დაიბარეს. კედლის საათის ნიკნიკმა მილი გონს მოიყვანა და სამხედროფორმიანს უპასუხა:

¹ საბჭოთა უწყების აბრევიატურა (რუს.): Народный комиссариат внутренних дел – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (აქ და ყველგან: რედ. შენ.)

– აქ დამიბარეს. აი, დოკუმენტიც...

ამას მოჰყვა მთელი რიგი კითხვები: ვინ? საიდან? როდის? რატომ? როდესაც მილის უკვე აღარც პასუხის გაცემის და აღარც აზროვნების თავი აღარ ჰქონდა, კაცმა მოახსენა, რომ მისი ქმარი თურმე, სამსახურის პარალელურად, ანტისაბჭოურ საქმიანობასაც ეწეოდა; ამიტომ იგი მოსკოვში გადაიყვანეს, როგორც განსაკუთრებით საშიში დამნაშავე, ხოლო, თუ ქალბატონს უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება სურდა, შეეძლო მოსკოვში გამგზავრებულიყო და გენერალური პროკურორისთვის, ამხანაგ კრილენკოსთვის მიემართა.

აღბათ მექანიკურ თოჯინას უფრო უკეთესი აზროვნების უნარი ჰქონდა, ვიდრე იმ წუთებში პროკურატურის ფართო მარმარილოს კიბის საფეხურებზე ჩამავალ მილის. კართან ახალგაზრდა ჯარისკაცი იდგა, რომელმაც ქალს გასასვლელი შაშხანით გადაუღობა. ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ მილის ვერ გაეგო, გარეთ რატომ არ უშვებდნენ, ან მისგან რა უნდოდათ. შესვლისას ქალმა დაცვას თავისი გვარ-სახელიც მოახსენა და იმისიც, ვინც აქ დაიბარა; ასევე, დათქმული დრო მიუთითა, მაგრამ ამჯერად მან სიტყვა „საშვის“ მნიშვნელობა ვერ გაიგო და დაიბნა; არ იცოდა, რომ ჯარისკაცი მხოლოდ იმ ფურცელს გულისხმობდა, რომელზეც სახელმწიფო მოხელეს თავისი გვარ-სახელი უნდა დაენერა და ბეჭედი დაესვა. შიში რომ დაძლია, მილის ბრახისგან თავში სისხლმა აასხა და იყვირა:

– გარეთ გამიშვი! ახლავე!

ეტყობა, ახალგაზრდა ჯარისკაცისთვის ასეთი რამ მანამდე არასდროს არავის გაებედა. დაბნეულობისგან, ის-ის იყო, ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა, რომ გონს მოეგო და მილის მოუჭრა:

– გვიბრძანეს, რომ საშვის გარეშე გარეთ არავინ გაუშვათ!

მილი საკუთარ ყვირილს დაეფრთხო, ჯარისკაცი კი – თავის მკაცრ პასუხს. ერთმანეთს კიდევ რამდენიმე წამს მისჩერებოდნენ. ლურჯთვალეობა მცველის მზერაში მილიმ რაღაც გამამხნევებელი ამოიკითხა. სრულიად დამშვიდდა, როდესაც ჯარისკაცმა მას თანაგრძნობით, წყნარად აუხსნა, რომ იმ კაცთან უნდა მიბრუნებულიყო, რომელთან შესახვედრადაც დაიბარეს და მისთვის ბეჭედდასმული საშვი გამოერთმია.

მილი ასეც მოიქცა. წესსა და კანონს დაემორჩილა.

მატარებლით ნახევარსაათიანი მგზავრობის შემდეგ სადგურიდან სახლამდე არცთუ გრძელი გზა უნდა გაეწვო. იგი ჭიშკართან შეჩერდა. მზიანი შემოდგომის დღე იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მილიმ ვერაფრით მოიფიქრა, თავისი დედამთილისთვის ეს სავალალო ამბავი როგორ შეეტყობინებინა. შეძლებდა კი ულმობელი სინამდვილის შერბილებას? მაგრამ ეს ხომ შეუძლებელი იყო.

ვერანდის კიბის საფეხურების ავლისას იგი იმ მილის გამოემშვიდობა, რომელიც უდარდელად ცხოვრობდა, გემოვნებით იცვამდა, ძვირად ღირებულ სუნამოებს ყიდულობდა და კეთილ, განათლებულ ხალხთან ურთიერთობდა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაერკვია, დიმიტრის ბრალს რაში სდებდნენ. მილი ვერაფრით დაიჯერებდა, რომ მისი ქმარი კონტრრევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა. იგი თავისსავე სამუშაო კაბინეტში რატომ დააპატიმრეს, ან მომავალში რა ელოდა. ბოლო დროს ანტისაბჭოურ, მავნებლურ ქმედებებში სხვადასხვა პირთა თუ ჯგუფთა მხილების შესახებ გაზეთებში სტატიები სულ უფრო და უფრო ხშირად იბეჭდებოდა. მოსახლეობის ნაწილს ამ განცხადებების სჯეროდა, გარკვეულ ნაწილს კი – არა. ზოგი წყევლიდა ამ მავნებლებს, ზოგს კი უხაროდა, რომ ასეთები ჯერ კიდევ არსებობდნენ. მილის ბეჭდვითი სიტყვის სანდოობისა ბავშვობიდან სჯეროდა. მას ნებისმიერი სახით გამოვლენილი ფლიდობა და უსამართლობა სძულდა. დარწმუნებული იყო, რომ დიმიტრის დაპატიმრებისას ხელისუფლება შეცდა და ის თავის შეცდომას მალე გამოასწორებდა.

1926 წელს მოსკოვს განსაკუთრებულად ცივი ზამთარი დაატყდა თავს. ქალაქის ტრამვაის ვაგონები, რელსებზე მიყინული ბორბლებით, ერთ ადგილზე იდგნენ, თითქოს გაშეშებულანო. ქუჩებში მიმავალი ადამიანები არა მხოლოდ უამრავ ტანსაცმელში გამოწყობილიყვნენ, არამედ, თუკი რამ ქსოვილი გააჩნდათ, ტანზე შემოეხვიათ, ოღონდ კი სასტიკი ყინვისგან თავი დაეცვათ. ყველანი მოსიარულე საფრთხობელებს ჰგავდნენ. ბედად, მილის თბილი ქურქი და ორი წყვილი მაღალყელიანი სუფთა თექის ჩექმები ეცვა. რამდენიმე ფენად

დაკეცილი, მატყლის ძაფით ნაქსოვი თავსაფარი ისე შემოეხვია, რომ მხოლოდ თვალები და დათრთვილული წამწამები მოუჩანდა.

ქალაქში ცხოვრობდა სერაფიმა პეტროვნასა და დიმიტრის ახლობლების ოჯახი, რომლებიც მათ ძველი დროიდან შემორჩენოდათ. ამ ხალხმა მილი შეიკედლა, მზრუნველობა და თანაგრძნობა არ მოაკლო, რაც ქალს ძალიან სჭირდებოდა იმ დღეებში, როცა გაუნათებელ ქუჩებში დილაადრიან პროკურატურისკენ მიძიმე თექის ჩექმებით მიაბოტებდა ხოლმე. იქ მილი რამდენიმე დღე რიგში უნდა მდგარიყო, რომ გენერალურ პროკურორს, ამხანაგ კრილენკოს შეხვედროდა. დაწესებულებამდე რამდენიმე კილომეტრი იყო გასავლელი; თუ რამდენაირი ტრანსპორტი გამოჩნდებოდა, სამსახურში მიმავალი ხალხით ისეთი გაძედილი იყო, რომ მილის ასვლა კი არა, კარში ნეკის შეყოფაც კი გაუჭირდებოდა. ყოველ დილას, რიგში ჩადგომისას, იგი თავის გვარ-სახელს წერდა გრძელ სიაში, რომელშიც ასობით სხვა, მასავით დაღლილი ადამიანის ხელმოწერა ხვდებოდა.

ორი კვირა რიგში დგომის შემდეგ მილიმ, როგორც იქნა, „წმინდა ადგილას“ შეაღწია, თუმცა იქ სანუგეშო არაფერი ელოდა: „შეგიძლიათ სახლში გაემგზავროთ. ჩვენ შეგატყობინებთ, ხელახლა როდის უნდა ჩამოხვიდეთ. თქვენი მეუღლის ანტისაბჭოური ქმედებების თაობაზე საქმის განხილვა ახალი დაწყებულია“.

მილი ამაოდ ცდილობდა, სანერ მაგიდასთან მჯდომი კაცი დიმიტრის უდანაშაულობაში დაერწმუნებინა; აეხსნა, რომ წარმოუდგენელი იყო, მისი ქმარი ამგვარ საქმიანობაში ჩაბმულიყო. თუმცა, პასუხად კრილენკომ მხოლოდ სარკასტულად ჩაიღიმა.

საუბრის გაგრძელებას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა.

დრო მიდიოდა, უკრაინული ზამთარი უკვე გაზაფხულის ნიშნებს ამჟღავნებდა, მაგრამ დიმიტრის შესახებ ახალი არაფერი ისმოდა. მოლოდინი უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდებოდა; ის ქალს სულიერად ფიტავდა.

„დედა, წერილი მოგივიდა!“ – ახარა ერთ დღეს მილის პატარა ინამ და კონვერტი გაუწოდა, რომელზეც ლამაზი ხელწერა მოჩანდა.

მილი დედამთილს დაელოდა და აკანკალებული ხელებით გახსნა

კონვერტი, რომელზე დასმულ ბეჭედზეც ცენტრალური რუსეთის რომელიღაც უცნობი ადგილის სახელი ეწერა. ბარათი სოლოვეცკის არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე დაენერათ, სადაც გრძელი და ტანჯული გზის შემდეგ რამდენიმე ასეული პოლიტპატიმრისგან შემდგარ ჯგუფს საკონცენტრაციო ბანაკად ქცეულ ყოფილ მონასტრამდე მიეღწია. წერილი არალეგალური გზით გამოეგზავნათ. მთხრობელი, ერთი შეხედვით, მშვიდი და აუღელვებელი ჩანდა, თუმცა წერილის შინაარსი ამკარად გამოუვალ მდგომარეობაზე, გადატანილ დამცირებასა და აუტანელ ტანჯვაზე მეტყველებდა. დიმიტრი მილის პატიებას სთხოვდა თავისი გაუზარებელი ქმედებების გამო, რადგან იგი უფსკრულში ნებაყოფლობით, თვალდახუჭული გადაეშვა და ამის შედეგად ყოვლად დაუცველი სამი არსება ბედის ანაბარა დატოვა – დიმიტრი საკუთარ თავს ეკითხებოდა, მათ ახლა რა ელოდა? იგი ცოლს სრულ თავისუფლებას აძლევდა და სწერდა, რომ მილი მას აღარ უნდა დალოდებოდა; როგორც საჭიროდ მიიჩნევდა, ისე მოქცეულიყო. მთავარია, ბედ-იღბალს ამ სამი ადამიანის მიმართ წყალობა გამოეჩინა.

წერილის ნაკითხვის შემდეგ ქალები მდუმარებაში ჩაიძირნენ. ბებერი მუხის ხეებს შორის შემოპარული ბინდი ნელ-ნელა სახლში აღწევდა. სერაფიმა პეტროვნა თავის ოთახში განმარტოვდა. მილის მისი ჩუმი ქვითინი ესმოდა, თვითონ კი ცრემლებს არ ნებდებოდა, დიდხანს ებრძოდა, სანამ სახეზე ცხელი ნიაღვარი არ წამოუვიდა. ტირილმა თითქოს გულისტკივილი შეუმსუბუქა და მილიმ მალე გააცნობიერა, რომ დიმიტრის გარეშე ცხოვრებას უნდა შეჰყუებოდა. უბრალოდ, უფლება არ ჰქონდა, ფარ-ხმალი დაეყარა და გულხელი დაეკრიფა, რადგან პატარა შვილისა და ბავშვივით უმწეო ხნიერი ქალისთვის უნდა ეპატრონა.

ანდრო, ძნელად გამოსათქმელი გვარით

გაზაფხულს არემარე აეყვავებინა. პატარა ინას დედამისისთვის მუქი ფერის სურნელოვანი იები და გაზაფხულის სხვა ყვავილები მოჰქონდა. კაშკაშა მზის ქვეშ გაფურჩქნილი, თეთრად და ვარდისფრად აყვავებული ხილნარი გამაბრუებელ სურნელს აფრქვევდა.

ბედის ბორბალი ბრუნავდა, მილი სამსახურის შოვნას უშედეგოდ ცდილობდა. ბოლოს მიანიც გაუღიმა ბედმა და, როგორც იქნა, ორი მონაფე იშოვა, რომლებსაც გერმანულ ენაში ამეცადინებდა. გარდა ამისა, ჭრა-კერვის ცოდნაც გამოადგა. მართალია, გასამრჯელო მცირე იყო, მაგრამ საჭმლისთვის ჰყოფნიდათ. მეტიც, დამლაგებელიც კი დაიქირავეს, რათა ნარსულში მეფის კარის ყოფილ ფრეილინას, სერაფიმა პეტროვნას, თავი კომფორტულად ეგრძნო.

მილის ჯერ კიდევ შემორჩენოდა რალაც სამკაულები და ანტიკვარული ჭურჭელი, მაგალითად, თეფშები ან ლარნაკები, რომლებიც დროდადრო, მცირე საფასურის სანაცვლოდ, სხვის საკუთრებად იქცეოდა ხოლმე. მილის ძალიან უჭირდა განშორება ყოველ მორიგ ნივთთან, რომელთანაც ტკბილი მოგონებები აკავშირებდა. თანაც, ასეთი კომერციული საქმიანობა მას დამამცირებლად მიაჩნდა. ყოველდღიური საზრუნავის გარდა, მილის უფრო მეტად ის თრგუნავდა, რომ დიმიტრის ბედი სრულიად გაურკვეველი იყო. მან მოსკოვში არაერთი წერილი გაგზავნა თხოვნით, რომ მისი ქმრის შესახებ რაიმე ეცნობებინათ, მაგრამ პასუხი არასდროს მიუღია. ბოლოს მილიმ ისევ მოსკოვში გამგზავრება გადაწყვიტა.

პროკურატურასთან კვლავაც ისეთივე გრძელი რიგები იდგა, როგორიც ზამთარში. გაზაფხულის მიუხედავად, მომლოდინე ხალხი

ძველებურად დადლილი და მოღუშული იყო. რიგში, მეტნილად, მოხუცები იდგნენ, თუმცა მათ შორის სასკოლო ასაკის მოზარდებიც გამოერეოდნენ ხოლმე. ერთადერთი შესამჩნევი ცვლილება ის იყო, რომ მათ ძონძები მოეშორებინათ, რომლებშიც მანამდე გახვეულები იყვნენ, და ალბათ მომდევნო ზამთრამდე ადამიანურ იერს შეინარჩუნებდნენ.

წინანდელივით ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ მილი ისევ იმავე კაცის საწერ მაგიდასთან აღმოჩნდა. გენერალურმა პროკურორმა მას უთხრა, რომ არ დაეინყებოდა საქმე, რომლის გამოც ახალგაზრდა ქალი შენუხდა და ზამთარში აქ ჩამოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ის მილის ვერაფრით დაეხმარებოდა. ქალი პროკურორს შეეხვეწა, რომ დიმიტრი ბახტინის ადგილსამყოფლის მისამართი მაინც მიეცა, რათა ცოლს ქმრისთვის ოჯახის ამბები მიენერა.

– არა. მიმონერა აკრძალულია. განსასჯელი მკაცრ იზოლაციას ექვემდებარება! – უპასუხა კაცმა.

სანამ მილი რიგში იდგა, საკუთარ თავს უმეორებდა, რომ დიმიტრისთვის გამოტანილი ნებისმიერი განაჩენი მშვიდად უნდა აღექვა და პროკურორისთვის თავისი სისუსტე არ ეჩვენებინა. თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ნერვებმა უმტყუნა. საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. როცა წამოდგა და კარისკენ გაემართა, ზურგს უკან პროკურორის ხმა მოესმა:

– ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ, თანაც ლამაზი. ეცადეთ, ცხოვრება თავიდან დაიწყოთ. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ლოდინსა და გლოვაში დროის კარგვას არ გირჩევთ. ქმარი მაინც არ დაგიბრუნდებათ. სახლში გაემგზავრეთ და ბავშვზე იზრუნეთ. გახსოვდეთ, რაც თავს გადაგხდათ, და ეცადეთ, შვილი ჩვენი ქვეყნის სულისკვეთების შესაბამისად აღზარდოთ, რათა მისგან ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე დადგეს.

მილი კართან შეჩერდა და ამ უღმობელი სიტყვების მთქმელს მიუბრუნდა, მაგრამ თავისდა გასაკვირად აღმოჩინა, რომ კრილენკოს დაუნდობელი სახე სულაც არ ჰქონდა, მის გამომეტყველებას ცივიც კი არ ეთქმოდა. პირიქით, კაცის მზერაში მცირეოდენ თანაგრძნობასა და სიბრაღულსაც კი ხედავდა. თუმცა, მილის გულისტკივილი ამან ოდნავაც ვერ შეუმსუბუქა. ერთი სული ჰქონდა, სახლში დაბრუნებუ-

ლიყო და ბევრი ეტირა ყველაფერზე – საკუთარ სისუსტეზეც და იმ მდგომარეობაზეც, რომლის გამოც უსაშველოების განცდა დაუფლებოდა!

ხარკოვში ზაფხული უკვე ძალაში შესულიყო. წელიწადის ამ დროის გავლენა ღამითაც არ ცხრებოდა, არც ახალგაზრდებს ეძინათ და არც მგალობელ ბულბულებს – ვისაც როგორ შეეძლო, ისე მღეროდა და სიჩუმე მხოლოდ დილაობით ჩამონწებოდა ხოლმე. ყვავილების სურნელით გაჯერებულ ღამის ჰაერშიც კი მილის სულს უზუთავდა მარტოობის გრძნობა და გულზე ქვასავით აწვა მომავლის შიში – არა მხოლოდ ბავშვის, არამედ მეფისდროინდელი ტკბილი ცხოვრებით განებივრებული, ახლა კი უპატრონოდ დარჩენილი დედამთილის გამოც. საკუთარ თავზე იგი ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა.

მეზობლები მილის კეთილად, თანაგრძნობით ექცეოდნენ. უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ და ახალგაზრდობის ცხოვრებით ანებივრებდნენ. მილის და მის დედამთილს, ცოტა არ იყოს, რცხვენოდათ, მაგრამ მეზობლები ამ ყველაფერს ისეთი ალალი გულით აკეთებდნენ, რომ მათი წყენინება არ იქნებოდა.

ყველაზე მეტად ოჯახი ერთ გერმანელ დიასახლისს დაუახლოვდა, რომელიც უკრაინელ ინჟინერზე იყო გათხოვილი. კვირაობით მისი ოჯახი ქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს მასპინძლობდა და თავის დიდ, კეთილმონყობილ სახლში მათ მთელი დღით ტოვებდა. დროდადრო გერმანელი მეზობლის ღამაში ქალიშვილი მილისა და სერაფიმა პეტროვნას შემოუვლიდა და წვეულებაზე ეპატიჟებოდა. მოხუცი შეთავაზებაზე უარს ამბობდა, თუმცა მილის დაიყოლიებდა ხოლმე, რომ სტუმრად თვითონაც წასულიყო და პატარა ინაც თან წაეყვანა; მას, როგორც კარგად აღზრდილ და მხიარულ ბავშვს, შეძლებული მასპინძლები სიყვარულით ხვდებოდნენ.

ერთ კვირადღესაც სტუმართმოყვარე მეზობლებმა ისინი ისევ მიიპატიჟეს, განსაკუთრებით კი სერაფიმა პეტროვნას სთხოვეს, მათთვის პატივი დაედო, მით უმეტეს, რომ იმ საღამოს დროის გატარებას ძალიან ვინრო წრეში აპირებდნენ. სტუმართა შორის ერთი მამაკაცი აღმოჩნდა, რომელსაც მილი მანამდე არასდროს შეხვედროდა. მას